პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 117 (4111)

1970 წ. 17 ივნისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

103 : 87

ალმა-ათა, 16 ივნისი. გუშინ აქ გაიმართა III წრის მორიგი კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" უმასპინძლა სსრ კავშირის ჩემპიონს ცსკა-ს. გაიმარჯვეს მოსკოველმა კალათბურთელებმა — 103:87 (56:43).

თანაქალაქელების მატჩი

თბილისი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი. 15 ივნისი.

„დინამო" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 84:88 (38:54).

„დინამო": ალთაბაევი (17), ჩიხლაძე (10), მაღალაშვილი (10), ქარაბაკი (9), მოსეშვილი (8), სხიერელი (8), უგრეხელიძე (8), საკანდელიძე (6), ვასიუტინსკი (4), ნარიმანიძე (2), ბოლქვაძე (2).

„ბურევესტნიკი": პულავსკი (16), გლურჯიძე (14), ბიჭიაშვილი (12), ჯულელი (12), ჩხიკვაძე (10), ძიძიგური (8), ფირცხალაიშვილი (8), მაისურაძე (4), ნინიაშვილი (4), ლიბრაძე.

მსაჯები რ. ხომერიკი და ბ. ნიკურაძე (ორივე — თბილისი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივნისისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	23	21	2	1971—1631	21
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	23	17	6	1762—1569	17
„ჟალგირისი" (კაუნასი)	22	16	6	1753—1687	16
„სტროიტელი" (კიევი)	22	16	6	1759—1583	16
„კალევი" (ტარტუ)	22	13	9	1822—1742	13
„დინამო" (თბილისი)	23	12	11	1833—1879	12
„დინამო" (მოსკოვი)	22	12	10	1805—1765	12
ასკ (კიევი)	23	8	15	1639—1688	8
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	23	7	16	1669—1860	7
ასკ (რიგა)	22	6	16	1606—1755	6
„ლოკომოტივი" (ალმა-ათა)	23	4	19	1690—1901	4
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	22	3	19	1630—1879	3

20 წამი

◆ ბონი, 16 ივნისი. აკადემიურ ნიჩბოსნობაში საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართა დასავლეთგერმანულ ქალაქ რატცებურგში. ორ დღეს მიმდინარეობდა ფინალური რბოლები. პირველ დღეს წარმატებით იასპარეზეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა, როცა რვაადგილიანებით შეჯიბრებაში მოიხვეჭეს სპეციალური თასი. სამაგიეროდ, სსრ კავშირის წარმომადგენლები მეექვსე ადგილს დასჯერდნენ მთავარ რბოლაში. აქ პირველები იყვნენ ნორვეგიელი ნიჩბოსნები.

◆ **სკოპლე, 16 ივნისი.** იუგოსლავიის ამ ქალაქში გამართულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი მ. ტაიმანოვი, რომელსაც 4 ტურის შემდეგ 3,5 ქულა აქვს. II-IV ადგილებს იყოფენ დიდოსტატი ე. ვასიუკოვი, ოსტატი ი. ბალაშოვი (ორივე — სსრ კავშირი) და იუგოსლაველი დიდოსტატი ს. გლიგორიჩი — 2,5 ქულა თვითეულს.

◆ **პული (ინგლისი), 16 ივნისი.** საიალქნო სპორტში ახალ ოლიმპიურ სახეობაში — „სოლინგის" იახტების კლასში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი. საპატიო ტიტული მოიხვეჭა შვეციის ჩემპიონმა ს. ვენერსტრემმა.

◆ ვარშავა, 16 ივნისი. ბალტიის ტრადიციულმა ველორბოლამ — „მეგობრობამ" სტარტი აიღო ლიტვის ქალაქ პალანგაში. შემდეგ ველოსიპედისტებმა გადაკვეთეს პოლონეთის საზღვარი. მე-7 ეტაპის ფინიში მოეწყო ელკში. აქ პირველი იყო 19 წლის პოლონელი სპორტსმენი ზ. ციტრინიაკი — 161 კმ — 3:46.12,0. ასპარეზობაში მონაწილეობს 11 ქვეყნის 100-მდე სპორტსმენი.

კალათბურთი...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა წიდოვან ბილიკზე მოტორბოლაში საკლუბო გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი. „თბილისი" სარატოვის „სალ უტს" მასპინძლობდა და დაამარცხა იგი ანგარიშით 49:27.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ორჯონიკიძეში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და თბილისის „დინამო". მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — 1:1.

ქუთაისელი ტორპედოელები საკუთარ მინდორზე შეხვდნენ მოსკოველ თანაკლუბელებს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ბოლო აკორდი

ბირმის ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა დაამთავრა ტურნე საბჭოთა კავშირში. სტუმრებმა ორი მატჩი წააგეს (მოსკოვის „ტორპედოსთან" — 0:3 და უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთან — 1:3), ხოლო ერთი ფრედ დაამთავრეს ვოროშილოვგრადის „ზარიასთან" — 0:0.

შეცდომის შედეგად

რომი, 15 ივნისი. „ამ მატჩში ბედი უძლიერესს აშკარად არ სწყალობდა, — წერს იტალიის გაზეთის „სტამპას" კორესპონდენტი მეხიკოდან, როცა IX მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირისა და ურუგვაის გუნდების მატჩს უკეთებს კომენტარს. — ყველაფერი გადაწყვიტა მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე დაშვებულმა ბანალურმა შეცდომამ. ბურთი კუბილას მქონდა. ყველა საბჭოთა მცველმა ხელი აწია იმის ნიშნად, რომ ბურთმა პირითი ხაზი გადაკვეთა. ახლა ძნელი დასადგენია, საფუძვლიანი იყო თუ არა საბჭოთა ფეხბურთელთა პროტესტები, რადგან აქ სანტიმეტრებზე იყო ლაპარაკი. მაგრამ, ასეა თუ ისე, მსაჯმა ვან რავენსმა გოლი ჩათვალა".

„თამაშის დროს უპირატესობა საბჭოთა ფეხბურთელების მხარეზე იყო. ურუგვაელებს თითქმის მთელი მატჩის მანძილზე უხდებოდათ მათი იერიშების მოგერიება და, როცა ტექნიკის დახმარებით ვერ ახერხებდნენ ამას, აშკარა უხეშობაზე გადადიოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოიჩინა თავი" მონტერომ, რომელსაც ჰოლანდიელმა მსაჯმა გაფრთხილება მისცა. ეჭვი არ არის, ამ უხეშობის გამო ყველაზე მეტად დაზარალდა მუნტიანი, რომელიც რამდენჯერმე მოცელეს. პირველი ტაიმის შემდეგ იგი კოჭლობით წავიდა გასახდელისაკენ".

ძნელი სათქმელია, რომ ურუგვაიმ დამსახურებულად მოიპოვა ადგილი ნახევარფინალში სსრ კავშირის მაგიერ, — წერს გაზეთი „კორიერე დელა სერა".

„ტემპო" ასეთი აზრისაა მატჩის შედეგზე: „ეს შეხვედრა ურუგვაელებმა კი არ მოიგეს, არამედ საბჭოთა ფეხბურთელებმა წააგეს... დამატებითი დროის მე-14 წუთზე მუნტიანმა დარტყმის შესაძლებლობა შეუქმნა ბიშოვეცს. ეს უკანასკნელი და ურუგვაელი მცველები ერთ ხაზზე იდგნენ. საბჭოთა ფეხბურთელმა გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა „თამაშგარე მდგომარეობა" აღნიშნა... მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი მან ჩათვალა სსრ კავშირის ნაკრების კარში გატანილი გოლი".



არ ყოფნიდათ წამმზომები, მსაჯები

ამას წინათ „ლოკომოტივის" აუზში გაიმართა თბილისის მოცურავეთა პირველობა. 2 სპორტის ოსტატის, 8 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და 55 პირველი თანრიგის შედეგი — ასეთია ამ შეჯიბრების მოსავალი. თითქოს ცუდი არაა, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ასპარეზობა ერთდროულად სამ ასაკობრივ ჯგუფად (ბიჭები და გოგონები, ჭაბუკები და ქალიშვილები, ვაჟები და ქალები) ტარდებოდა და სტარტზე დედაქალაქის თითქმის ყველა მოცურავე გამოვიდა, შედეგები არც ისე სახარბიელო ჩანს. არც ის დაგავიწყდეთ, რომ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში საქართველომ უნდა გამოიყვანოს სპორტის ოსტატებით დაკომპლექტებული გუნდი, რომლის წევრებიც 8 უძლიერესის რიცხვში ბრძოლას შეძლებენ. ამ ძნელი ამოცანის გადაწყვეტა კი ჩვენი რესპუბლიკიდან მხოლოდ თინათინ ლეკვეიშვილს (იგი საბჭოთა კავშირში საუკეთესოა გულაღმა ცურვაში) და კიდევ ორიოდე სხვა სპორტსმენს თუ შეუძლია.

მართალია, თბილისელი მოცურავეებისათვის საქალაქო ჩემპიონატი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზის გათამაშების შემდეგ პირველი ტურნირი იყო, მაგრამ ბრწყინვალე შედეგებით ისინი არც მაშინ გამოირჩეოდნენ, შემდეგ კი ბევრ სახეობაში კიდევ უფრო გააუარესეს მაჩვენებლები.

ქების ღირსია ისევ და ისევ ლეკვეიშვილი, რომელმაც თავის ძირითად სახეობებში—100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში სპორტის ოსტატის შედეგები (1.12,7 და 2.35,1) აჩვენა და „დინამოს" 36 ქულა მოუპოვა. მან 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც იასპარეზა და აქაც ყველას აჯობა—12.05.7. ლეკვეიშვილის თანაგუნდელმა, სპორტის ოსტატმა ა. იოაკიმიდიმ გაიმარჯვა ხუთ დისტანციაზე — 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (4.40,0 და 18.44,7), 200 მ ბატერფლაით (2.28,7), 200 და 400 მ კომპლექსურ ცურვაში (2.28,0 და 5.14,6). იოაკიმიდიმ ყველა დისტანციაზე ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს გადააჭარბა. ი. კირდიანოვმა („დინამო") ორ სახეობაში (100 მეტრზე ბრასით — 1.12,5, 200 მ კომპლექსურ ცურვაში — 2.29,8) ოსტატობის კანდიდატის, ხოლო 200 მ ბრასით შეჯიბრებაში (2.42,3) პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა. ძმას არც და —12 წლის მ. კირდიანოვა („დინამო") ჩამორჩა. ამ უკანასკნელმა იოლად მოიგო 100 და 200 მეტრზე ბრასით შეჯიბრება, ამასთან, ორივე დისტანციაზე (1.26,2 და 3.08,4) I თანრიგის ნორმატივი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ კირდიანოვამ ქალიშვილთა ტურნირში გამარჯვებულზე უკეთესი შედეგი აჩვენა. იგი მხოლოდ ქალთა შორის უძლიერესებს — დინამოელ ლ. მარღანიას (1.23,9; 3.01,9) და განთიადელ ლ. სელივანოვას (1.25,5; 3.06,6) ჩამორჩა. ვფიქრობთ, მათთან ერთად რომ გამოსულიყო, კირდიანოვას უფრო მაღალი მაჩვენებლებიც ექნებოდა.

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

სურათებზე: საკავშირო კატეგორიის მსაჯი შ. ვაჩნაძე ორმაგ გამარჯვებას ულოცავს თ. ლეკვეიშვილს; იორდანიშვილი ბრასით ასპარეზობისას.

ო. გელაშვილის ფოტო.

სადავო გოლი

ჟენევა, 15 ივნისი. შვეიცარიის გაზეთების სპორტული მიმომხილველების აზრით, გოლი, რომელიც ურუგვაის გუნდმა გაიტანა სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩში, სადავო იყო.

„ტრიბიუნ დე ლოზანის" საკუთარი კორესპონდენტი მეხიკოში ჟაკ გიული წერს:

„დამატებითი დროის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე დაუჯერებელი რამ მოხდა. კუბილამ მიუსწრო ბურთს, რომელიც უკვე მინდვრის საზღვრებს გარეთ იყო — ჩვენ კარგად დავინახეთ ეს — და მიაწოდა ესპარაგოს, რომელმაც გოლი გაიტანა.

მართლა გასული იყო თუ არა ბურთი მინდვრიდან? ამას ბევრი ამტკიცებს. უნებურად იბადება კითხვა: იქნებ მსაჯებს იმიტომ აპატიეს ეს მეორე შეცდომა, რომ მათ თავის მხრივ მექსიკისა და ბელგიის ფეხბურთელთა მატჩში ასიამოვნეს ლათინური ამერიკის გუნდებს?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ყოფნიდათ წამმზომები, მსაჯები

დასასრული

დ. ბახუტაშვილის („დინამო") სახით კარგი მოცურავე იზრდება. ამ ბიჭუნამ თანატოლებში ყველას აჯობა 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით (28,9 და 1.06,1), 100 და 200 მ ბრასით (1.20,3; 2. 57,3) ცურვაში.

ჭაბუკებიდან უნდა გამოვყოთ ა. იორდანიშვილი („შრომითი რეზერვები"), რომელმაც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში I თანრიგის ნორმატივი შეასრულა — 4. 46,2. შემდეგ მან 1500 მეტრზეც პირველობა მოიპოვა (19. 51,9), მაგრამ არც ამას დასჯერდა და გუნდის ინტერესებისთვის ბრასით ცურვაშიც ჩაება.

ჭაბუკებმა ვაჟებსაც კი აჯობეს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მაგალითად, მათ შორის უძლიერესმა ვ. გრიგორაშჩენკომ („შრომითი რეზერვები") 1 წუთი და 0,9 წამი, ვაჟებში გამარჯვებულმა მისმა თანაგუნდელმა ვ. ონუფრიენკომ კი 1.01,4 აჩვენა. კიდევ ერთი ფაქტი. ამ სახეობაში 4 ჭაბუკმა გადააჭარბა I თანრიგის ნორმატივს, ვაჟებში კი ამ წარმატებას მხოლოდ გამარჯვებულმა მიაღწია.

საერთო შედეგები უფრო მაღალი იქნებოდა, სპორტსმენები ტექნიკაში რომ არ სცოდავდნენ. განსაკუთრებით უჭირთ მალაყით ჩქარსნული მობრუნება, ზოგჯერ კი მობრუნებისას კედელსაც არ ეხებოდნენ. სამწუხაროდ, ამგვარ შეცდომებს უკვე გამოცდილი სპორტსმენებიც უშვებდნენ, ამიტომ იყო, რომ 200 მეტრზე ბატერფლაით შეჯიბრებიდან მოიხსნა ა. ხუხტოიანი („დინამო").

მონაწილეთა მაჩვენებლებზე ცუდად ორგანიზებულმა შეჯიბრებამაც იმოქმედა: **არ ჰყოფნიდათ წამმზომები, მსაჯები.**

რ. მაღრაძე.

სხვა სახეობებში გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები. **თავისუფალი სტილი. 50 მ. გოგონები.** ვ. პროსკურინა („განთიადი") — 32,2, ი. მარგიშვილი (განათლების განყოფილება) — 32,2; **100 მ. გოგონები.** მარგიშვილი — 1. 12,2; **ქალიშვილები.** ი. ზოტოვა („განთიადი") — 1.08,1; **ქალები.** ლ. ოსიპოვა („ბურევესტნიკი") — 1. 13,9; **200 მ. ქალიშვილები.** ზოტოვა — 2.32,1; **ჭაბუკები.** ვ. გონჩაროვი— 2. 15,8; **ვაჟები.** ი. ლისეცკი (ორივე — „დინამო") — 2. 14,9; **400 მ. გოგონები.** პროსკურინა — 5. 38,9; **ქალიშვილები.** ი. გოლკოვა (განათლების განყოფილება) — 5. 57,3; **ბიჭები.** ს. მაკაროვი („დინამო") — 5.06,9; **800 მ. გოგონები.** ტ. სტრუნინა (განათლების განყოფილება)— 12. 13,0; **ბიჭები.** მაკაროვი—10.26,7; **ბატერფლაი. 100 მ. გოგონები.** რ. მიქაძე („დინამო") — 1.25,4; **ქალიშვილები.** ნ. კოსტიუჩენკო („განთიადი") — 1. 24,9; **ქალები.** მარღანია — 1. 21,2; **ბიჭები.** ნ. ნიკოგოსოვი („დინამო") — 1. 14,3; **ჭაბუკები.** ვ. გრიგორაშჩენკო („შრომითი რეზერვები") — 1. 09,6; **ვაჟები.** თ. ცაგარელი („დინამო") — 1. 06,7; **200 მ. გოგონები.** ს. ნუქიფიშვილი („დინამო") — 3.13,6; **ბიჭები.** ნიკოგოსოვი — 2.45,8; **ბრასი. 100 მ. ქალიშვილები.** ე. კალუცკაია (განათლების განყოფილება) — 1. 29,9; **ჭაბუკები.** ი. ივევლევი („დინამო") — 1. 14,9; **200 მ. ქალიშვილები.** ტ. შელესტი (განათლების განყოფილება) — 3. 10,9; **ჭაბუკები.** ივევლევი — 2. 48,3; **გულაღმა. 100 მ. გოგონები.** ე. შაიდულოვა („დინამო") — 1. 27,9; **ქალიშვილები.** ზოტოვა — 1. 17,3; **ბიჭები.** ნიკოგოსოვი — 1. 13,0; **ჭაბუკები.** თ. ხუბულაშვილი — 1. 06,9; **ვაჟები.** ქ. ქრასკო (ორივე „დინამო") — 1. 05,9; **200 მ. გოგონები.** პროსკურინა — 2. 59,4; **ქალიშვილები.** ნ. სუბნიკოვა („დინამო") — 2. 54,5; **ბიჭები.** ნიკოგოსოვი — 2. 36,0; **ჭაბუკები.** ვ. გონჩაროვი („დინამო") — 2. 33,7; **ვაჟები.** ვ. ჩაბაკაური („შრომითი რეზერვები") — 2. 31,6; **კომბლექსური ცურვა. 200 მ. გოგონები.** მიქაძე — 2. 56,9; **ქალიშვილები.** ზოტოვა — 2. 48,8; **ქალები.** მარღანია — 2. 53,6; **ბიჭები.** ნიკოგოსოვი — 2. 39,4; **ჭაბუკები.** ი. სემიონოვი („დინამო") — 2. 32.5; **400 მ. გოგონები.** მიქაძე— 6. 19,9; **ქალიშვილები.** მ. ყულიჯანოვა („დინამო") — 6. 13,4; **ქალები.** ლ. სელივანოვი („განთიადი") — 6.59,8; **ბიჭები.** ნიკოგოსოვი — 5. 45.0; **ჭაბუკები.** სემიონოვი — 5. 37,0.

გუნდური. 1. „დინამო", 2. „განთიადი", 3. „შრომითი რეზერვები".

თ. ხუგაშვილი.

ღრმად რომ დავუკვირდით

დაგვაფიქრა ტრადიციული ტურნირის შედეგებმა. მოგვეძალა კითხვები: რა იყო ნ. ალექსანდრიას წარუმატებლობის მიზეზი? რამ განაპირობა თ. ხუგაშვილის ესოდენ თვალსაჩინო მიღწევა? როგორ აკვსნათ ლ. კოროშანაძისა და ნ. ჩიქობავას უფერული ფინიში? რატომ გვჯობდნენ ა. ნიკოლაუ და ე. რუბცოვა?...

სსრ კავშირის ჩემპიონს ნ. ალექსანდრიას ასე ცუდად არასოდეს უთამაშია. ამ წარუმატებლობას დიდი რეზონანსი აქვს, ვინაიდან უკვე სექტემბერში ნანამ მონაწილეობა უნდა მიიღოს სიბონათშორისო ტურნირში, სადაც იგი ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება.

მარცხის მიზეზი მხოლოდ ავადმყოფობა არაა. თბილისში ნანა კარგად იყო, მაგრამ სამი პარტია წააგო. ჩვენი აზრით, მთავარი ისაა, რომ ჩემპიონი გადაღალა. მას, როგორც წარჩინებულ სტუდენტს, რა თქმა უნდა, სურს ყველა საგანი ჩააბაროს. მაგრამ, როცა სსრ კავშირის ჩემპიონი ხარ, შეჯიბრებისთვისაც კარგად უნდა მოემზადო. მით უმეტეს, ისიც უნდა ითქვას, რომ ნანა სპორტს ნაკლებ ყურადღებას აქცევს და ამიტომ ვერ აიტანა ფიზიკური დატვირთვა. „თუ ასე გაგრძელდა, — თქვა ალექსანდრიას მწვრთნელმა, საერთაშორისო ოსტატმა ბ. გურგენიძემ, — არ ვიცი როგორ ითამაშებს ნანა საზონათშორისო ტურნირში. მზადება ახლავე უნდა დავიწყოთ, პირველ ყოვლისა, ჯანის გასამაგრებლად".

სხვათა შორის, ც. კახაბრიშვილისა და ც. კობაიძის უფერული შედეგებიც გადაღლის მიზეზია. ისინიც სტუდენტები არიან და ვერ მოუგვარებიათ შრომა-დასვენების საკითხი. მაგალითად, კახაბრიშვილმა საქართველოს ჩემპიონის სახელის მოპოვების შემდეგ 10 დღეში სუთი საგანი ჩაბარა და მერე საერთაშორისო ტურნირში ჩაება.

გაგვახარა თამარ ხუგაშვილმა. მისი სახით მზარდი ოსტატი შეემატა ქართველ მოჭადრაკე ქალთა ოჯახს. უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს თამარი ბევრს მუშაობდა ჯერ გ. მაჭავარიანის, ახლა კი ბ. გურგენიძის ხელმძღვანელობით.

ახალი ოსტატი ძლიერია ტაქტიკურ ბრძოლაში, კარგად ხედავს კომბინაციას, სადებიუტო რეპერტუარიც გვარიანად აქვს დამუშავებული. ცაიტნოტებს თავი რომ დააღწიოს და თამაშის თეორიას დაეუფლოს, ხუგაშვილი კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებებს მოიპოვებს.

ოსტატის ნორმატივის შესრულება შეეძლოთ თბილისის ჩემპიონ კოროშინაძესა და ჩიქობავას. კოროშინაძემ მთელი გულისყურით ვერ გააანალიზა გადადებული პარტიები და 1 ქულა დაკარგა. ფინიშზე მას უნდა მოეგო ალექსანდრიასთან და ნიკოლაუსთან, მან მხოლოდ ნანასთან შეხვედრა მოიგო. კარგი იქნებოდა კოროშინაძეს გორში მისი მწვრთნელი ოსტატი თ. კიკიანი ჰყოლოდა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების მერე ჩიქობავა დიდი გატაცებით ვარჯიშობს ჭადრაკში და წარმატებებსაც მიაღწია. იგი ტრადიციულ ტურნირშიც ენერგიულად იბრძოდა, მაგრამ გორში 4 პარტია წააგო, როცა ოსტატის ნორმატივისთვის 1,5 ქულა ჰყოფნიდა. რა მოხდა? „ძნელი სათქმელია. პარტიები უნდა გავანალიზოთ, მაგრამ ამ წარუმატებლობაში, ჩემი აზრით, უფრო ფსიქოლოგიური მიზეზებია დამნაშავე", — მითხრა ჩიქობავას მწვრთნელმა, ოსტატმა მ. შიშოვმა.

დასამაღი არ არის: საქართველოს ქალთა VI საერთაშორისო ტურნირი უფრო სუსტი შემადგენლობისა გახლდათ, ვიდრე ყველა მისი წინამორბედი. თავიდანვე აშკარა იყო, რომ პირველი ადგილისთვის ბრძოლა ალექსანდრიას, ნიკოლაუსა და ე. რუბცოვას შორის გაჩაღდებოდა, რადგან ეს მოჭადრაკეები კლასით ბევრად მაღლა დგანან თავიანთ მეტოქეებზე. ნიკოლაუს გამარჯვება კი განაპირობა (ალექსანდრია რომ არ მივიღოთ მხედველობაში) ე. რუბცოვას ყოვლად გაუმართლებელმა ყაიმმა დედამისთან (უბრძოლველად, 18 სვლაში) და ო. ანდრეევასთან წაფორხილებამ.

ტრადიციულმა ტურნირმა ბევრი პრობლემა წამოჭრა, დაგვანახა ჩვენი მოჭადრაკე ქალების თამაშის ავი და კარგი... ამ დღეებში ეს საკითხები ჭადრაკის რესპუბლიკურმა ფედერაციამ განიხილა. მთავარი დასკვნა ისაა, რომ უნდა გახშირდეს ტრადიციული ტურნირები, სწირად უნდა მოვიწვიოთ ჭეშმარიტად უძლიერესი მოჭადრაკეები. გარდა ამისა, ჩვენებიც საპაექროდ მთელი გულისყურით უნდა მოემზადონ.

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: VI ტრადიციული ტურნირის მონაწილენი და მსაჯები.

კარგი წამოწყება

საქართველოს მძლეოსნები, მწვრთნელები ხშირად ამობდნენ საყვედურს: შეჯიბრებები საკმარისი რაოდენობით არ ტარდება და ამიტომ შედეგებიც ნელა იზრდებაო. ხშირ სტარტებს განსაკუთრებით სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადება მოითხოვდა. და აი, ფიზიკურის რესპუბლიკურ კომიტეტში გადაწყდა გაემართათ „მორბენლის დღე", „მხტომელის დღე", „მტყორცნელის დღე".

ეს კარგი წამოწყება იყო და ვარაუდობდნენ, რომ იგი სათანადო გამოხმაურებასაც ჰპოვებდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა: სპორტსმენებისა და მწვრთნელების მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეჯიბრებებში მონაწილეობას ახლაც ჩრდილში ყოფნა ამჯობინა. ზოგმა ისიც თქვა, ახლა რაღა დროსია, ეს ღონისძიებები თავიდანვე უნდა დაგეგმილიყო. რა თქმა უნდა, ასე აჯობებდა, მაგრამ ამ მიზეზით თავის მართლება არ შეიძლება.

7 ივნისს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი „მორბენლის დღეს" დაეთმო. სამწუხაროდ, შეჯიბრება სახელდახელოდ, მოუმზადებლად ჩატარდა, სტარტზე ბევრი თბილისელი არ გამოვიდა (აღარას ვამბობთ რესპუბლიკის სხვა ქალაქების წარმომადგენლებზე), 100 მეტრზე თარჯრბენში შეჯიბრება კი საერთოდ არ გამართულა.

ერთი კვირის შემდეგ სტადიონზე მტყორცნელები და მხტომელები ასპარეზობდნენ. ვფიქრობდით, რომ წინა შეჯიბრებათა ხარვეზები ახლა მაინც აღარ განმეორდებოდა, მაგრამ სინამდვილეში უარესი სურათის მოწმენი გავხდით. ტურნირზე მსაჯების უმეტესობა არ გამოცხადდა, რის გამოც ყველა ბრიგადა ვერ დააკომპლექტეს, რამაც ზოგ სასეობაში შეჯიბრების დაწყება დააგვიანა. ამას წვიმა და ქარიც დაემატა, რის გამოც სიგრძეზე მხტომელი ვაჟების, ჭოკით მხტომელთა და სამმხტომელთა ასპარეზობა ჩაიშალა. სხვა სახეობებში გამარჯვებისთვის ყველა უძლიერესი როდი იბრძოდა. განსაკუთრებით დასანანია, რომ ამ ძლიერ სპორტსმენთა უმეტესობა სტადიონზე იყო, მაგრამ წვიმის მიზეზი ბრძოლას თავი აარიდა.

ერთი სიტყვით, ორივე ახალი შეჯიბრების ორგანიზაციული მხარე ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა. და მაინც, ვინც სარბიელზე გამოვიდა, კარგი შედეგებიც აჩვენა. მაგალითად, ი. ფხაკაძემ (თბილისი) ურო 59,46 მეტრზე ტყორცნა და დაამყარა რესპუბლიკის ახალი რეკორდი, რომელიც მისავე ძველ რეკორდს (ამას წინათ ოდესაში აჩვენა) 14 სანტიმეტრით სჯობს. ბადრომ მტყორცნელ ქალებში გამარჯვებულებმა ლ. ტუღუშმა (თბილისი) წლეულს რესპუბლიკაში საუკეთესო შედეგი (50,12 მ) აჩვენა, 15 წლის ხაშურელმა ნ. ლაბაძემ კი ბადრო 45 მეტრზე ტყორცნა.

სსრ კავშირის რეკორდსმენის გ. გუდაშვილის (თბილისი) ბადრო 59,54 მეტრზე დაეცა. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა წლეულს საბჭოთა კავშირში.

სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრებაში ლ. გუგმა (თბილისი) 160 სმ დაძლია და I თანრიგის ნორმატივი შეასრულა, შუბის ტყორცნა მოიგო დ. საბაურმა (თბილისი) — 44,55 მ. ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში ვ. ფაისურაძემ იმარჯვა — 16,26...

სასიამოვნოა, რომ რესპუბლიკის რეკორდსმენი მ. თათარაშვილი (ქუთაისი) ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა მძლეოსნობას, თუმცა ამჯერად მისი ბირთვი 12,65 მეტრზე დაეცა.

მაგრამ იმის გამო, რომ სარბიელზე უძლიერესები არ გამოდიოდნენ, სიგრძეზე მხტომელ ქალებში მეორე თანრიგის შედეგით (523 სმ) გაიმარჯვა სამტრედიელმა ა. კურენიამ. ვაჟებში უძლიერესმა ჯ. ჯუვენმა (სამხრეთ ოსეთი) 175 სმ სიმაღლე დაძლია, მაშინ, როცა ამ სახეობაში 15 სპორტის ოსტატი და პირველთანრიგოსანი მაინც გვყავს.

ვფიქრობთ, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი იმსჯელებენ ზემოაღნიშნული რესპუბლიკური ტურნირებისადმი მსაჯების, მწვრთნელების, სპორტსმენების გულგრილ დამოკიდებულებაზე და სათანადო ზომებსაც მიიღებენ.

ო. ბელაშვილი.

მოსნაკელეებმა ყველას აჯობეს

დამთავრდა ბორჯომის რაიონის სპარტაკიადა. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ამ შეჯიბრების პროგრამაში შეიდიოდა ფრენბურთი, მძლეოსნობა, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და ტყვიის სროლა. სპარტაკიადას წინ უძღოდა ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტსაზოგადოებების ტურნირები. ქალაქის სტადიონზე რაიონული სპარტაკიადის საზეიმო გახსნაზე თავი მოიყარეს „განთიადის", „კოლმეურნის", „სპარტაკის", „შრომითი რეზერვების", „ლოკომოტივისა" და განათლების განყოფილების ნაკრებმა კოლექტივებმა.

ბრძოლები თითქმის ორ კვირას გაგრძელდა. მძლეოსნობაში გაიმარჯვა განათლების განყოფილების ნაკრებმა, II ადგილზეა „კოლმეურნე", III — „განთიადი".

ფრენბურთში ყველას „სპარტაკის" ვაჟთა და განათლების განყოფილების გოგონათა გუნდებმა აჯობეს. II ადგილებზე გავიდნენ „სპარტაკის" ქალთა და განათლების განყოფილების ჭაბუკთა კოლექტივები. III ადგილები როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის განთიადელებმა დაისაკუთრეს.

კალათბურთში სპორტი ადგილები ასე განაწილდა: „განთიადი", განათლების განყოფილება, „სპარტაკი" (ქალთა შეჯიბრება ამ სახეობაში არ ჩატარებულა).

მაგიდის ჩოგბურთში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა „სპარტაკი", II ადგილზეა „განთიადი", III—განათლების განყოფილება.

ტყვიის სროლაში ფავორიტად „განთიადის" ნაკრები მიაჩნდათ, ვინაიდან ამ საზოგადოების სპორტსმენები კარგა ხანია რაიონში საუკეთესოებად ითვლებიან. მაგრამ მოხდა ისე, რომ განთიადელები ამჯერად III ადგილს დასჯერდნენ, ვინაიდან „სპარტაკისა" და განათლების განყოფილების გუნდები მათზე უკეთ მომზადებულან.

მოჭადრაკეთა ტურნირში ყველას აჯობა განათლების განყოფილების კოლექტივმა. მომდევნო სპორტზე ადგილები კი „სპარტაკისა" და „განთიადის" მოჭადრაკეებს დარჩათ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა განათლების განყოფილების ნაკრებმა დაისაკუთრა, II ადგილზეა „სპარტაკი", III — „განთიადი". სპარტაკიადა მაღალ დონეზე ჩატარდა. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ 44 მონაწილემ II თანრიგის ნორმატივი შეასრულა, 69 კაცმა — III, ხოლო 30 სპორტსმენმა მოზარდთა თანრიგებისა.

დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ ზონალურ სპარტაკიადაში.

ა. ბელაშვილი,
ბორჯომის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

მსოფლიო პირველობა

მექსიკო 1970 ფეხბურთი IX MEXICO

ყველა გოლი

მსოფლიო ჩემპიონატში სულ 78 ბურთია გატანილი. ყველაზე აგრესიულად და აქტიურად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბრაზილიის თავდამსხმელები თამაშობენ. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ სნაიპერთა სიას სწორედ მათი წარმომადგენლები უდგანან სათავეში. ნახევარფინალური მატჩების წინ ბომბარდირთა რიგებში დიდი ცვლილება არ მომხდარა.

მიულერი (გფრ) — 8
ჟაირზინიო (ბრაზილია) — 5
კუბილასი (პერუ) —5
ბიშოვეცი (სსრ კავშირი) — 4
ზეელერი (გფრ) — 3
პელე (ბრაზილია) — 3
რიველინო (ბრაზილია) — 2
ტოსტაო (ბრაზილია) — 2
დომენგინი (იტალია) — 2
რივა (იტალია) — 2
გალარდო (პერუ) — 2
ვალდივია (მექსიკა) — 2
ვან მური (ბელგია) — 2
ლამბერტი (ბელგია) — 2
დუმიტრაკე (რუმინეთი) — 2
პეტრაში (ჩეხოსლოვაკია) — 2

მეტოქეთა კარში თითო ბურთი გაიტანეს: ლიბუდამ, ბეკენბაუერმა (ორივე — გფრ), რივერამ (იტალია), მანეირომ, მუიკამ, ესპარაგომ (ყველა — ურუგვაი), ასათიანმა, ხმელნიცკიმ (ორივე — სსრ კავშირი), ჰერსტმა, კლარკმა, მიულერიმ, პიტერსმა (ყველა — ინგლისი), ჩუმპიტასმა, ჩალემ (ორივე — პერუ), ფრაგოსომ, ბასაგურენმა, პენიამ, გონსალესმა (ყველა — მექსიკა), ნიაგუმ, დემბროვსკიმ (ორივე — რუმინეთი), ტურესონმა, გრანმა (ორივე — შვეცია), დერმენჯიევმა, ბონევმა, ნიკოდიმოვმა, კოლევმა, ქეჩევმა (ყველა — ბულგარეთი), შპიგლერმა (ისრაელი), ხუმანმა, მახუბიმ (ორივე — მაროკო).



კორიდას ესწრება პელე.

გ. იაშვილის ნახატი.

ევროპაცა და ლათინური ამერიკაც

ევროპა და ლათინური ამერიკა გადამწყვეტი ბრძოლების წინაშე დგანან. აი, ვისა აქვს მინდობილი ორი „მოქიშპე" კონტინენტის ინტერესების დაცვა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გფრ	4	4	0	0	13—6	8
ბრაზილია	4	4	0	0	12—5	8
იტალია	4	2	2	0	5—1	6
ურუგვაი	4	2	1	1	3—1	5

როგორც ხედავთ, ნიკეს „ცოცხლად დარჩენილ" ხელისმაძიებელთა შორის ოდნავ უკეთესი მდგომარეობა ჯერჯერობით ევროპულ გუნდებს აქვთ, ვინაიდან მათი მაჩვენებელი უმჯობესია.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ევროპა	8	6	2	0	18—7	14
ლათ. ამერიკა	8	6	1	1	15—6	13

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ფინალურ მატჩებზე (I და III ადგილებისთვის), ვინაიდან კენჭისყრამ ნახევარფინალში ერთმანეთს მონათესავე გუნდები დაუპირისპირა (გფრ — იტალია, ბრაზილია — ურუგვაი). ცხადია ისიც, რომ ორივე ფინალში ითამაშებენ ევროპისა და ლათინური ამერიკის საუკეთესო გუნდები.

მათთვის ყველაფერი დასრულდა

ბევრმა ფინალისტმა ჩემპიონატი უკვე დაამთავრა. მართალია, გათამაშების დებულებით ოქროს ქალღმერთისთვის ბრძოლაში მხოლოდ პირველი 4 ადგილის მფლობელის ვინაობა ირკვევა, მაგრამ არაოფიციალურად მაინც განსაზღვრავენ თექვსმეტივე ადგილს. გთავაზობთ იმ გუნდების საბოლოო შედეგებს, რომლებმაც ჩემპიონატი დაამთავრეს.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
5. სსრ კავშირი	4	2	1	1	6—2	5
6. მექსიკა	4	2	1	1	6—4	5
7. ინგლისი	4	2	0	2	4—4	4
8. პერუ	4	2	0	2	9—9	4
9. შვეცია	3	1	1	1	2—2	3
10. რუმინეთი	3	1	0	2	4—5	2
11. ბელგია	3	1	0	2	4—5	2
12. ისრაელი	3	0	2	1	1—3	2
13. ბულგარეთი	3	0	1	2	5—9	1
14. მაროკო	3	0	1	2	2—6	1
15. ჩეხოსლოვაკია	3	0	0	3	2—7	0
16. სალვადორი	3	0	0	3	0—9	0

სსრ კავშირის პირველობა

„ბ" კლასი

გათამაშების ცხრილი

ფეხბურთი 1970

I ჯგუფი, II ზონა

14 ივნისს გაიმართა „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის მატჩები. ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით რუსთავის „მეტალურგისა" და ცხინვალის „სპარტაკის" შეხვედრის შედეგის შესახებ. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ალაზანი" (გურჯაანი) — „კახეთი" (თელავი) 2:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 2:0, „სულორი" (ვანი) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:0, „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) — „სპარტაკი" (ტამბოვი) 0:0, „მეტალურგი" (კრასნი სულინი) — „სპარტაკი" (რიაზანი) 1:0, „სპარტაკი" (სარანსკი) — „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) 1:2, „ტორპედო" (ეისკი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:0, „დინამო" (სოხუმი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:0.

მდგომარეობა 17 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (რუსთავი)	8	4	4	0	9—5	12
„ტორპედო" (ეისკი)	8	4	3	1	14—5	11
„პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი)	8	3	4	1	13—9	10
„კახეთი" (თელავი)	8	4	1	3	12—8	9
„გურია" (ლანჩხუთი)	8	3	3	2	8—4	9
„კოლხეთი" (ფოთი)	8	1	7	0	9—6	9
„მეშახტე" (ტყიბული)	8	2	5	1	9—8	9
„სპარტაკი" (სარანსკი)	8	2	4	2	6—5	8
„ცემენტი" (ნოვოროსიისკი)	8	2	4	2	6—6	8
„მერცხალი" (მახარაძე)	8	3	2	3	7—8	8
„დინამო" (სოხუმი)	8	2	3	3	7—7	7
„ორბიტა" (ბელაია კალიტვა)	8	2	3	3	6—8	7
„მეტალურგი" (კრასნი სულინი)	8	3	1	4	8—11	7
„სულორი" (ვანი)	8	2	3	3	7—12	7
„ალაზანი" (გურჯაანი)	8	3	1	4	9—15	7
„სპარტაკი" (რიაზანი)	8	3	0	5	12—12	6
„სპარტაკი" (ტამბოვი)	8	1	4	3	5—8	6
„სპარტაკი" (ცხინვალი)	8	1	2	5	4—14	4

სპორტული ამბები

● **ათენი, 15 ივნისი.** მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში რუმინელმა კ. კორბუმ სამხტომში 16,76 მ აჩვენა. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

● **პარიზი, 15 ივნისი.** „კოლომბის" სტადიონზე მაღალი შედეგები აჩვენეს სირბილზე მხტომელმა ვაჟებმა. ფრანგი ჟ. პანის შედეგია 812 სმ, მისი თანამემამულე ჟ. ტურესი — 809 სმ. მ. ბორნმა და ჟ.-პ. ნალემ 200 მეტრი ერთნაირ დროში დაფარეს — 20,8 წ.

● **ვიარეჯიო, 15 ივნისი.** იტალიის ამ ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში ამერიკელმა მძლეოსანმა ბ. ვოენმა 200 მეტრი 20,6 წამში გაირბინა.

● **ბუდაპეშტი, 15 ივნისი.** აქ გამართულ ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ევროპის ჩემპიონმა უროს ტყორცნაში, კიეველმა ა. ბონდარჩუკმა აჩვენა ბრწყინვალე შედეგი — 73,38 მ. მან თითქმის 3 მეტრით ჩამოიტოვა ოლიმპიური ჩემპიონი, უნგრელი დ. ჟივოცკი.

● **მონტე-კარლო, 14 ივნისი.** აქ საასპარეზოდ შეკრებილმა მოჭადრაკეებმა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონ ა. ანდრეიკოსთან მატჩის საგზურისთვის იბრძვიან, შეჯიბრების ნახევარი განვლეს. ჯერჯერობით წინაა ჰოლანდიელი სეიბრანდსი, რომელსაც 8 ქულა აქვს (10-დან). მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან საბჭოთა დიდოსტატები ი. კუპერმანი და ა. განტვარგი.

„ტყავის ბურთის" პრიზზე

✦ გორი

ნორჩ ფეხბურთელთა საქალაქო შეჯიბრებაში უმცროსი ასაკის ბავშვთა შორის თავი ისახელა ბამბეულის კომბინატის სახლმმართველობის გუნდმა „მერანმა". უფროსთა შორის პირველი იყო საბჭოს ქუჩის გუნდი.

გ. შიუკაშვილი.

✦ წითელი წყარო

აქ უკვე მეექვსედ ეწყობა ნორჩ ფეხბურთელთა სარაიონო შეჯიბრება. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ წითელი წყაროს სტალინის ქუჩისა და სოფ. გამარჯვების გუნდები. გამარჯვება წილად ხვდათ სტალინის ქუჩის ფეხბურთელებს — 2:1.

გ. კაკალაშვილი.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

● „ცისკარი" (სიღნაღი) — „იმერეთი" (თერჯოლა) 1:3. მსაჯი რ. გაბისონია (თბილისი).

სტუმრებმა შეთანხმებული, მონდომებული იერიშებით დაიწყეს თამაში და მალე ქირიამ პირველ წარმატებას მიაღწია. ეს გოლი გაქვითა ვარდიაშვილმა, შემდეგ კი უპირატესობამ ისევ „იმერეთის" მხარეს გადაინაცვლა. იმავე ქირიამ და კახიძემ განამტკიცეს თავიანთი გუნდის გამარჯვება — 3:1.

● „მზიური" (გალი) — „ენგური" (ზუგდიდი) 3:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

● „მშენებელი" (ბორჯომი) — „მადაროელი" (ჭიათურა) 1:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● „მესხეთი" (ახალციხე) — „გიგანტი" (ლაითური) 4:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

ახალციხელთა თავდამსხმელის იურიევის მიერ გატანილი გოლი შესვენების შემდეგ გაქვითა სავოიანმა — 1:1. მაგრამ „მესხეთმა" მაინც შეძლო წარმატებით დაემთავრებინა ეს შეხვედრა. თამაშის დამთავრებამდე კაცობაშვილმა, ვართანიანმა და ზუბაშვილმა ზედიზედ სამჯერ აიღეს მეტოქის კარი.

● „სამცხე" (აწყური) — „სინათლე" (თბილისი) 0:0. მსაჯი დ. ჯოხაძე (ხაშური).

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 2:0. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

ჩოხატაურელთა თავდამსხმელმა ცინცაძემ პირველ ტაიმში 2 ბურთი გაიტანა ცხაკაიელთა კარში. „ბახმარომ" ეს ანგარიში ბოლომდე შეინარჩუნა.

● „ფერიქარი" (წულუკიძე) — „სქური" (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

მატჩი ის-ის იყო დაიწყო და მანაგაძემ პირველი ბურთი გაიტანა წალენჯიხელთა კარში. მცირე ხნის შემდეგ იმავე მანაგაძემ მეორედ აიღო „სქურის" კარი. შემდგომში თამაშმა მინდვრის შუაგულში გადაინაცვლა და მატჩის დასასრულს წალენჯიხელებმა შეძლეს 1 საპასუხო ბურთის გატანა პენალტით (კვარაცხელია).

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

სტუმრებს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ჰქონდათ საერთო უპირატესობა, თუმცა ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. ერთადერთი ბურთი „ქართლის" კარში მეორე ტაიმში გაიტანა ი. გეგეჭკორმა.

● ასკ (თბილისი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 1:0. მსაჯი გ. ხართანია (ზუგდიდი).

ამ მატჩის ანგარიშში უპირველესად ისაა აღსანიშნავი, რომ დისციპლინის დარღვევისთვის მინდვრიდან იქნენ გაძევებული ელოიანი (ასკ) და შომახია (გარდაბანი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 4:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა თავიანთთვის ეს მნიშვნელოვანი მატჩი ცუდად ჩაატარეს, ხოლო რაც შეეხება სტუდენტებს, ისინი მოქმედებდნენ ტაქტიკურად სწორად, ენერგიულად და სავსებით დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

II ჯგუფი. I ზონა. „მშენებელი" (წალკა) — „სპარტაკი" (რუსთავი) 2:2, „შირაქი" (წითელი წყარო) — „მევენახე" (ვაზისუბანი) 2:1, „მევარდენი" (თბილისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 3:0, „გარეჯი" (საგარეჯო) — „ვარძია" (ასპინძა) 3:3, „აბული" (ახალქალაქი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:2, „არაგვი" (მცხეთა) — „გარისი" (თეთრი წყარო) 2:3. დუშეთის „არაგვს" გამარჯვება ჩაეთვალა ბოლნისის „მევენახესთან".

II ზონა. „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „მექანიკოსი" (სამტრედია) 2:1, „კოლხეთი" (ხობი) — „სამეგრელო" (ზუგდიდი) 0:0, „ივერია" (ხაშური) — „ჭოროხი" (ბათუმი) 1:0, „დინამო" (ქუთაისი) — „კოლმეურნე" (ქედა) 5:1, „სამგურალი" (წყალტუბო) — „განთიადი" (აბაშა) 1:1.

ხუთი მალაყი ავტომანქანით

ჟურნალ „კვიკიდან“ (დასავლეთ გერმანია) გადმობეჭდილ ამ სურათზე თქვენ ხედავთ პროფესიონალი ინგლისელი მრბოლელის ბევ ბონდის მანქანას სენსაციური მალაყის შესრულების დროს. ჟურნალი ასეთ წარწერას უკეთებს სურათს. „ბონდს გულით სურდა შვეციის დიდი პრიზი მიეღო, მაგრამ ბედმა უმტყუნა. ინგლისელ მრბოლელს შეემთხვა მარცხი, რომელიც იშვიათია სპორტული რბოლის ისტორიაში. მისი მანქანა უკანა ბორბლით გამოედო მეტოქის მანქანის წინა ბორბალს. ბონდს საჭე გაექცა. მანქანა ერთის წამით გზის გარდიგარდმო გაშეშდა. შემდეგ მას 10 მეტრის მანძილზე გვერდით უდიდესი სისწრაფით მიაქანებდა მეორე მანქანა. მერე ბონდის ავტომობილი ჰაერში აფრინდა და 10 წამის განმავლობაში ხუთჯერ გადატრიალდა, კვლავ ოთხ ბორბალზე დაეშვა და გზა გააგრძელა“.

ბევ ბონდმა შვეციის დიდი პრიზი ვერ მოიგო, მაგრამ გული არ დასწყვეტია, რადგან აშკარა სიკვდილს გადარჩა.



აუწერელ სიამოვნებას მგვრის ძველი ჟურნალ-გაზეთების ფურცვლა. მიჰყვები უკვე გაყვითლებულ, გაცრეცილ ფოლიანტებს და შენს მეხსიერებაში კინემატოგრაფიული სისწრაფით ცოცხლდება წარსულის სურათები, ამბები, მოვლენები...

აი, ერთხელაც ჩავუჯექი... ამჯერად ჟურნალებს. წინ დავიდე 1927 წლის „ტარტაროზი“ — დღევანდელი „ნიანგის“ წინამორბედი. ვფურცლავ და ვიღიმები, ზოგჯერ ხმამაღლა ვიცინი ფარსადანისა და ლევარსი როხროხაძის ფელეტონების კითხვისას. ვფურცლე, ვფურცლე და საინტერესო კარიკატურას წავაწყდი.

ჟურნალის მთელ გვერდზე ხელებდაკრეფილი გოლიათი აღმართულა მთასავით. კისრის, მკერდისა და მკლავების კუნთები ზღაპრულ ძალაზე მეტყველებენ. მის წინ ჩია კაცი და თვალებგადმოკარკლული აშარი ქალი დგანან.

კაცი: ნეტავი მაგის ჯანი მომცა.

ქალი: ნეტავი ვიცოდე, რა თავში იხლი?

კაცი: მაშინ ვეღარ გამიბედავ ცემას.

ქალი: ტყუილად გგონია. მე რომ ჰოპოპები ამეშლება, ვერავინ დამაკავებს, თვით ეს გოლიათიც.

ეს გოლიათი კი ყველასათვის ცნობილი სანდრო კანდელაკი იყო. დიდი თუ პატარა, ასე გასინჯეთ ქალებიც კი, საუბარში ხშირად ახსენებდნენ მას: „ამას მხოლოდ სანდრო კანდელაკი დასძლევს“, „ამას მხოლოდ სანდრო კანდელაკი ასწევს“, „ამას მხოლოდ სანდრო წააქცევს“ ... მხოლოდ, მხოლოდ მხოლოდ ... მხოლოდ ერთი კაცი იყო საქართველოში ძლიერი, უძლეველი, ყველაზე მაღალი, ყველაზე მძიმე.

ჩვენ, ბავშვებს, სანდრო არ გვენახა, მაგრამ იმდენი გაგვეგონა მასზე, რომ როდესაც ხატვის მასწავლებელმა საკუთარი ფანტაზიით რაიმეს დახატვა დაგვავალა, ოცი ბიჭიდან თხუთმეტმა კუნთებდაძაგრული სანდრო დავხატეთ.

არის ერთი სურათი, ალბათ, 1910-11 წლებში გადაღებული, რომელზეც ძველი თაობის მოჭიდავეები არიან აღბეჭდილი. პირველ რიგში სხედან ვასო მსუქნიშვილი და გიორგი თოდიაშვილი, მეორე რიგში — ლუკა დადიანიძე, არბიტრი შენ დაუკა ვანუა და შაშო ვერელი, მესამე რიგში მელროვე დანიელა, სანდრო კანდელაკი და მიხა ქურხული. ამ სურათზე სიტყვა იმიტომ ჩამოვაგდე, რომ აქ სანდრო სულ 19 წლისაა. მაღალი, ტანწერწეტა, გრუზა ბიჭი ჩანს, მე კი, როდესაც იგი პირველად ვნახე, ოცდაათ წელს გადაცილებული ვაჟკაცი იქნებოდა. ვნახე და ... ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. მთელი ღამე ეს მთაკაცი მესიზმრებოდა. ხან მის ჯიბეში ვიჯექი, ხან მის ყურის ბიბილოზე ვეკიდე. სულს ვუწუხებდი მამაჩემს, ვთხოვდი წავეყვანე ცირკში, სადაც სანდრო კანდელაკი ჭიდაობდა. ამისრულა სურვილი — წამიყვანა და მაჩვენა, მხოლოდ ცირკში კი არა, კინოგადაღებაზე.

1926 წელს რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ ა. ცაგარლის „ხანუმას“ ეკრანიზებას მოჰკიდა ხელი. როდესაც სცენარის საქმე მოაგვარა, იგი ტიპაჟების შერჩევას შეუდგა და მამაჩემიც მიიწვია ეპიზოდურ როლში. ოჯახში ეს ამბავი სენსაციად მივიღეთ. მამას თავს ვაბეზრებდით ათასგვარი კითხვებით. მოუთმენლად ველოდით იმ დღეს, როცა გადაღება დაიწყებოდა. და აი, ერთ დღეს მამამ განაცხადა, რომ ხვალ წამიყვანდა გადაღებაზე და დედას რუხი ფერის ჩოხის წესრიგში მოყვანა დაავალა.

დილით წავედით. როგორც გზაში მამამ მითხრა, გადასაღები იყო ორთაჭალის ბაღში თავად ფანტიაშვილის ქეიფი. ამისათვის, რასაკვირველია, ორთაჭალის ბაღში არ წასულან, იქვე კინოსტუდიის ეზოში იყო სუფრა გაშლილი. მამას ტანსაცმელი უკვე ეცვა, ამიტომ პირდაპირ საგრიმიოროში შევიდა, მეც შევყევი და აქ ვნახე სანდრო კანდელაკი. იგი ჩია კაცს თავს წასდგომოდა და ეხვეწებოდა:

— არ იქნება, ეგრე გამოვიდე, როგორცა ვარ?

— არა. როგორიცა ხარ, ეგრე ცირკში გამოდიხარ. აქა კინოა, გესმის, შე გლეხო? კინო. დაჯექი, თუმცა, არ დაჯდე, სუსტი სკამია, ვერ გაგიძლებს. იცი რა, ფეხზე იდექი, აგრე სჯობს.

გრიმიორი დაბალ სკამზე შედგა და სახეზე ტონი წაუსვა, თმა წინ ჩამოუყარა და ნაბდის ქუდი დაახურა. თან გაუთავებლად ლაზღანდარობდა. სანდრო კი მორჩილად შეჰყურებდა მის მწვალებელს და შიგადაშიგ წამოიძახებდა ხოლმე.

— მორჩი?

— ჯერ არა. ამოდენა სახეს გათხუპვნა არ უნდა?

სანდროს მორთვა დამთავრებული არ იყო, რომ კარებში ალექსანდრე წუწუნავა გამოჩნდა. ყველას მიესალმა, გრიმი და ჩაცმულობა დაუთვალიერა და სანდროს წინ გაჩერდა.

— აგიხსნეს ყველაფერი? — ჰკითხა მან.

— ჰოო!

— იცი, ვის ანსახიერებ?

— მენა? ... არა.

— იცი, რა უნდა გააკეთო?

— მენა? ვიღაცას ხელი უნდა გადავუგრიხო.

— სულ ეგ არის.

— ი დალოცვილი შენი მოადგილე ბევრი კი მელაპარაკა, მაგრამ ვერ გავიგე, ჩვენებურად, გლეხურად რო ეთქო, გავიგებდი.

— წამოდი ჩემთან.

სანდრო აჩქარებული ნაბიჯით მიმავალ წუწუნავას ძუნძულით ბედევნა.

— შენ მედუქნის მოჯამაგირე ხარ. აი, იქ ზიხარ მაყალთან და მწვადს წვავ. ამ დროს მოქეიფე თავადებს შორის აყალმაყალი ატყდება, ერთ-ერთი მათგანი — ფანტიაშვილი დუქანში შეიჭრება და იქაურობას მიანგრ-მოანგრევს. გამხეცებულ თავადს ვერავინ ეკარება. მაშინ დაგიძახებენ. თავადი ხელს მოგიქნევს, შენ მაჯაში სწვდები და გადაუგრეხ. თავადს გაუხარდება, რომ გამოჩნდა მისი დამძლევი კაცი, და დაწყნარდება. გასაგებია?

— ჰოოო.

— აი, მაყალი. მწვადი ხომ შეგიწვავს? აბა, ადგილებზე, ვიწყებთ!

დატრიალდა გადამღები აპარატი.

... ბაღში გაიმართა ღრეობა, თავადები თავდავიწყებით მღერიან და ცეკვავენ. ბოლოს ფანტიაშვილი სუფრის გამოცვლას მოინდომებს. მედუქნე უარზეა, ჯერ ამისი არ გადაგიხდიათო. მაშინ ფანტიაშვილი დუქანში შევარდება და ... ყველაფერს ყირაზე დააყენებს...

— მიშველეთ, დაუძახეთ, დააბას ეს მხეცი, დაუძახეთ! — ყვირის მედუქნე.

სანდრო შემოვიდა დუქანში, გაიწია თავადისაკენ, სტაცა მაჯაში ხელი, მაგრამ ... არ გადაუგრიხა. აბა, ამას როგორ გაუბედავდა მის კოლეგას ლადო კავსაძეს (თავად ლევან ფანტიაშვილს თამაშობდა), ისიც ხომ თავის დროზე ცნობილი მოჭიდავე იყო. მკლავის გადაგრეხა კი მკლავის სიძაბუნეს ნიშნავდა, ვერა, ვერ შეარცხვენდა საქვეყნოდ. ამიტომ ბავშვივით აიტაცა ხელში ეს ამოდენა ვაჟკაცი და იყვირა.

— სად წავიყვანო კაცო, მითხარით მაინც!

— ეტლისკენ, ეტლისკენ! კარგია, ყოჩაღ! გზა მიეცით! — თავდავიწყებით ყვიროდა წუწუნავა. — ეტლისკენ, ყველა მიჰყევს!

ქეიფისა და ჩხუბისაგან მოთენთილი ფანტიაშვილი ეტლის სკამის საზურგეს მიეყრდნო, ჯიბიდან ფული ამოიღო, სანდროს აჩუქა. მან მადლობის ნიშნად ქუდი მოუხადა ...

ყველაფერი ეს იქვე, კინოგადამღები აპარატის წინ შეიქმნა.

— კარგია, დიდებულია! — აღტაცებული იყო წუწუნავა. — აი, იმპროვიზაცია! ყოჩაღ, სანდრო!

ვინ არის „შენ დაუკა ვანუა“, რომელმაც თვით პაოლოს ჩამოართვა სიტყვა? მისი გვარი ჩიბალოვია, იგი იყო არბიტრი — შუამავალი მსაჯი და ჭიდაობის ორგანიზატორი. მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს, თუ რატომ შეარქვეს მას ასეთი უჩვეულო სახელი — „შენ დაუკა“. საქმე ისაა, რომ შუამავალი მსაჯი ქართულ ჭიდაობაში არა მარტო თვით ჭიდაობის შედეგის განმსაზღვრელია, არამედ მთელი შეჯიბრების დირიჟორიცაა. მხოლოდ მისი განკარგულების — „შენ დაუკა!“ — შემდეგ დაუკრავს ზურნა და ერთმანეთს ეძგერებიან ფალავნები. ეს სიტყვა ისე შეიჭრა მის ყოველდღიურ სამეტყველო ენაში, რომ „მითხარის“ მაგიერ „შენ დაუკას“ ხმარობდა. ამბობენ, როცა ვანოს ერთი ახლო ნათესავი კვდებოდა, ანდერძის დაწერა მისთვის მიუნდიათ. ვანოს საწერ-კალამი მოუმარჯვებია და აქაც არ დაუშლია თავისი, „შენ დაუკა, ბიძაჩემო“, — უთქვამს!

[illegible]

ი. უგულავა

ამ ამბის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარდა სანდრო. მის სანახავად ტანტების ცირკში სიარულს მოვუხშირე. შემდეგ კი, მოგვიანებით, სულგანაბული ვუსმენდი ქართული ჭიდაობის დიდი ქომაგის, მისი ფედერაციის უცვლელი თავმჯდომარის მიხეილ (ძია მიშა) ხერხეულიძის მონათხრობს.

ძმები ტანტების ცირკი, სადაც სანდრო ჭიდაობდა ხოლმე, ელბაქიძის დაღმართის ბოლოში იდგა. ფიცრული სულ 500-600 მაყურებელს იტევდა. საინტერესო შეხვედრების დროს ერთი იმდენი გარეთ იდგა და სულმოუთქმელად უცდიდა სანდრო კანდელაკისა თუ მიშიკო მაჩაბლის გამარჯვების ამბავს.

თქმა არ უნდა, პროფესიონალ მოჭიდავეთა ჩემპიონატები თითქმის წინასწარ შედგენილი ცხრილით ტარდებოდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, ზოგიერთი პრინციპული შეხვედრა მართლაც საინტერესო იყო. დღევანდელთან შედარებით არც მოჭიდავეთა ტექნიკა იყო მაღალი. ან რა ტექნიკა და სისწრაფე მოეთხოვებოდათ 140-კილოგრამიან გოლიათებს. მაგრამ საქართველოში ჭიდაობა მუდამ პოპულარული იყო და მას დედაქალაქში მაყურებელი როგორ მოაკლდებოდა. თუ რა პატივისცემით სარგებლობდნენ ქართველი ფალავნები, ეს ჩანს ტიციან ტაბიძის ლექსიდან — „უშმური კვირა“.

... კოტე მარჯანიშვილი,
სანდრო ახმეტელი,
შალვა დადიანი,
უშანგი ჩხეიძე
ზიან ტანტების ცირკში
კუკლა გლდანელის იუბილეზე.
ვინ მისცა ყარაჩოღელებს
ამდენი ტემპერამენტი?
საწყალი გლდანელი დგას
გაკოტრებული სოვდაგარივით,
მის წინ ძველი პორტრეტია —
რკინა ჩამოსხმული ადამიანად.
პაოლო იაშვილის მაგიერ
სიტყვას ამბობს არბიტრი
„შენ დაუკა ვანუა“.

რა შესანიშნავი, რჩეული საზოგადოება შეკრებილა ფალავნის იუბილეზე!

სიტყვა გაგვიგრძელდა, დავუბრუნდეთ სანდრო კანდელაკს და ძია მიშას ნაამბობს მის შესახებ.

ძმები ტანტების ცირკში მოჭიდავეთა ჩემპიონატის ყოველი დღე სადღესასწაულო აღლუმით იწყებოდა. ჩემპიონატის მონაწილენი სარბიელის თარჯის შიგნით მოეწყობოდნენ და არბიტრი ხმამაღლა აცხადებდა:

— ფილიგრანული ტექნიკის მქონე, მოუღლელი და დაუოკებელი, სრულიად გერმანიის სიამაყე, ისააკ შულკი!

— ვოლგის მარჯვენა და მარცხენა ნაპირის, სამხრეთ და შუა რუსეთის ჩემპიონი ივან ზოტი!

— მოკრივე და მოჭიდავე ჯონ როჯერსი!

— ჯერ დაუმარცხებელი, ბეჭდაუდებელი კლიმენტი ბული!

— საქართველოს გოლიათი, ჰერკულესის ძალის მქონე სანდრო კანდელაკი...

ბოლოს, როდესაც არბიტრი დაამთავრებდა სარბიელზე გამოსულ მოჭიდავეთა მაყურებლისთვის გაცნობას, სინათლე ჩაქრებოდა, პროჟექტორი საპარადო გასასვლელს მიანათებდა და დარბაზში დაირხეოდა ხმა:

— წითელი ნიღაბი! არავინ იცის მისი გვარი. მხოლოდ დამმარცხებელს აქვს ნიღბის ახდისა და მისი ვინაობის გამჟღავნების უფლება.

ამ დროს გადაიწეოდა შავი ფარდა და შავი მოსასხამით შემოსილი წითელი ნიღაბი გამოჩნდებოდა. ხალხი ინტერესით შესცქეროდა ამ იდუმალი ადამიანის ყოველ მიხრა-მოხრას. წითელი ნიღაბი თავის არაჩვეულებრივი თავსაბურავით ხანდახან ქუჩაშიც გაივლიდა ხოლმე. ცირკში მისი მოსვლა ხომ მთელი მოვლენა იყო. ეტლი სწორედ მაშინ მოგრიალდებოდა ელბაქიძის დაღმართის ბოლოში, როდესაც ცირკის მისასვლელი ხალხით იყო სავსე, ეტლის ძარა გადაიწეოდა და დინჯად გადმოვიდოდა ნიღბოსანი. მართლაც მომჯადოებელი სანახაობა იყო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გამარჯვება ოლშტინში

საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია პოლონეთის ქალაქ ოლშტინში ყოველწლიურად ატარებს გუნდურ შეჯიბრებას დაბრკოლებათა გადალახვაში ეროვნებათა თასზე. სარბიელზე გამოდიან სოციალისტური ქვეყნების — ბულგარეთის, გდრ-ის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, სსრ კავშირის მხედრები. ამ ბოლო ხანს შეჯიბრებაში მონაწილეობენ საფრანგეთის, იტალიის, ირლანდიის, გფრ-ის სპორტსმენებიც.

თითოეულ გუნდში 4 მხედარი შედის. ყოველმა მათგანმა 160 სანტიმეტრამდე სიმაღლის 13 დაბრკოლებაზე 16 ნახტომი უნდა შეასრულოს. ჩათვლა სამი საუკეთესო სპორტსმენის მაჩვენებლების გათვალისწინებით ხდება. ამასთან, იმართება ორი გიტი. ამ შეჯიბრებებში ბრძოლა მუდამ დაძაბულია. სპორტსმენს მოეთხოვება „ცხენის გრძნობა“, სწრაფი რეაქცია, მოხერხებულობა, სიმამაცე.

გასულ კვირასაც ოლშტინის იპოდრომზე თავი მოიყარეს უძლიერესმა მხედრებმა. საბჭოთა სპორტსმენებს არაერთხელ მოუპოვებიათ ამ შეჯიბრებაში საპრიზო ადგილი. ამჯერად ისინი უკრაინის ნაკრების ახალგაზრდა მხედრებით იყვნენ წარმოდგენილი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ დაწესებული პრიზი — „ეროვნებათა თასი“ მოიპოვეს საბჭოთა მხედრებმა, რომლებმაც 23,75 საჯარიმო ქულა მიიღეს. II ადგილზე გავიდნენ გფრ-ის სპორტსმენები, რომლებსაც 28 საჯარიმო ქულა აქვთ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

სპიდვეი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 19 ივნისი. საკლუბო გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. „თბილისი“ (თბილისი) — ელისტის ნაკრები. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 03288